საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის სპორტული ღონისძიების ჩატარების წესი

დამტკიცებულია ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“ გამგეობის მიერ

2024 წლის ----------

1. ტერმინები:

   ა) ფედერაცია - ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაცია“ (ს/ნ 402003309);
   ბ) სამინისტრო - საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
   გ) სპორტული ღონისძიება - სპორტული ექსპედიცია მთაში/სასიმაღლო ასვლა, სავარჯიშო შეკრება.

2. კალენდარული წლის დასაწყისში არსებული ბიუჯეტის და ფედერაციაში მთამსვლელთა შესაბამისი განაცხადების საფუძველზე, ფედერაციის გამგეობის მიერ ხდება სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის ფორმირება და დამტკიცება, რომელიც რეგისტრაციისა და დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით წარედგინება სამინისტროს.

3. კალენდარში შეიტანება ღონისძიების ჩატარების ადგილი, სავარაუდო ვადები და ბიუჯეტი.

4. კონკრეტული ღონისძიების დაწყებამდე, სულ მცირე ორი თვით ადრე, ღონისძიების ინიციატორი ან/და ხელმძღვანელი, დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს ფედერაციის პრეზიდენტს, კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიების ჩატარების ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის თხოვნით. განცხადებაში მითითებულ უნდა იქნას:

   4.1. ღონისძიების დაწყების და დასრულების ზუსტი ვადები;
   4.2. ღონისძიების დაწვრილებითი პროგრამა;
   4.3. ღონისძიების ხელმძღვანელის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);
   4.4. ღონისძიების მონაწილეთა რაოდენობა და ვინაობა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, რეგიონი);
   4.5. ღონისძიების ინსტრუქტორთა რაოდენობა და ვინაობა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);
   4.6. საჭირო სატრანსპორტო საშუალებათა სახეობა და ოდენობა;
   4.7. საჭირო პროდუქტების ზუსტი სია და ოდენობა;
   4.8. საჭირო ინვენტარის ზუსტი სია და ოდენობა;
   4.9. საჭირო ცხენების ოდენობა;
   4.10. ღონისძიების გასამართად საჭირო სხვა ხარჯების შესახებ ინფორმაცია და მონაცემები.

5. თუ დაფინანსების წყაროა სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები, განცხადების საფუძველზე ფედერაცია უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის ჩატარებას და მინიმალური ფასების დადგენას. ფედერაცია კვლევის შედეგებს, დაფინანსებისთვის საჭირო სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, უგზავნის სამინისტროს შესაბამისი თანხის გამოყოფის თხოვნით.

6. ღონისძიების დაფინანსება განხორციელდება ფედერაციის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმით ამ ღონისძიებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტის ფარგლებში;

7. ფედერაციის პრეზიდენტის მიერ მტკიცდება ღონისძიების დებულება, რომელშიც აისახება ღონისძიების შესახებ ინფორმაცია (ღონისძიების მიზანი, მისი გამართვის ადგილი, პერიოდი, ხელმძღვანელი პირი, ინსტრუქტორები, მონაწილე პირები, ბიუჯეტი, ხარჯები).

8. ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებით ინიშნება ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

9. ღონისძიების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები და ინსტრუქტორები ოპერატიულად და შეძლებისდაგვარად მიაწვდიანი ფედერაციას ღონისძიბის ჩატარების პროცესში გადაღებულ ფოტო-ვიდეომასალას მარკეტინგული მიზნებისათვის, რომლის პირველი გამოყენების უფლება ექნება ფედერაციას.

10. ღონისძიების ხელმძღვანელი და ინსტრუქტორი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე გამოცდილი მთამსვლელი.

11. ინსტრუქტორების შერჩევა ხორციელდება ღონისძიების ხელმძღვანელის მიერ ფედერაციასთან შეთანხმებით.

12. ღონისძიების ხელმძღვანელისა და ინსტრუქტორის დაფინანსების შემთხვევაში, მათთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

13. ღონისძიების ჩატარების შესახებ პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე ღონისძიების მონაწილეებზე გაიცემა შესაბამისი აღჭურვილობა, რომელიც ღონისძიების დასრულებისთანავე უნდა დაბრუნდეს საწყობში შესაბამისი ინსტრუქციით დადგენილი წესით.

14. ღონისძიების ხელმძღვანელის/ინსტრუქტორის ანაზღაურების წესი და ოდენობა, ღონისძიების მონაწილეებზე გამოყოფილი ცხენების რაოდენობა, ასევე, კვების დღიური ნორმის ოდენობა განისაზღვრება ცალკე დოკუმენტით, სამინისტროს რეგულაციების და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

15. ღონისძიების დასრულებისთანავე ღონისძიების ხელმძღავნელი წარმოადგენს დეტალურ ანგარიშს (მოხსენებითი ბარათი) ჩატარებული ღონისძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს:

    15.1. ღონისძიების ფარგლებში განხორციელბული ალპინისტური ასვლების/სხვა აქტივობების ჩამონათვალს თარიღების მითითებით;
    15.2. კონკრეტულ ასვლებში/ღონისძიებებში მონაწილეთა ხელმძღვანელთა და სხვა ინსტრუქტორთა ვინაობას;
    15.3. ღონისძიებისას განხორციელბულ სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს, მათ შორის ინფორმაციას კონკრეტული სახის ვარჯიშებისა და თეორიული მეცადინეობების შესახებ.

16. ღონისძიების ხელმძღვანელი ვალდებულია წარმოადგინოს ღონისძიების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა, შეძლებისდაგვარად მონიშნული მარშრუტი და ყველა ის დოკუმენტი, რაც მოთხოვნილი იქნება სამინისტროს მიერ.